ხელშეკრულება № 4

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი, ერთის მხრივ განათლების მუშაკთა დამოუკიდებელ გაზეთ ,, ჩემი სკოლას" მთავარი რედაქტორი ო. ნათიძე (შემდგომში ..მიმწოდებელი" ი/მ ო. ნათიძე) და მეორეს მხრივ -[illegible] - ----------(შემდგომში ,,შემსყიდველი) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1 ხელშეკრულება- წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტაციით.

1.2 შემსყიდველი- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3 მიმწოდებელი- პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4 ხელშეკრულების ღირებულება- საერთო თანხა,რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა, მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.5 დღე, კვირა, თვე- კალენდარული თვე, დღე, კვირა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გაზეთ ,,ჩემი სკოლას" ---1----ეგზემპლიარად შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, თანახმად საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების წესის შესახებ" 2011წ;ის 7 აპრილის №9 მოთხოვნათა შესაბამისად. კლასიფიკაციის კოდი: GPY22200000

მუხლი 3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1 საქონლის მიწოდება /მომსახურება განხორციელდება 2016 წლის იანვრიდან 2016 წლის დეკემბრის ჩათვლით კვარტალში ერთხელ.

3.2 საქონლის მიწოდების ადგილი/მისამართი:----[illegible]---

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვა განხორციელდება ელექტრონული სასაქონლო ზედნადების საფუძველზე-წლიურად ან კვარტალურად მხარეთა შეთანხმების გათვალისწინებით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიღების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარო ხარჯით უზრუნველყოფს ,,მიმწოდებელი".

4.3 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:მიიღოს საქონელი და დროულად გადაურიცხოს ,,მიმწოდებელს"საქონლის ღირებულება.

4.4,, მიმწოდებელი,, ვალდებულია: გადასცეს ,,შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში.დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

4.5 ,,მიმწოდებელს" უფლება აქვს მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" ხელშეკრულებაში მითითებული

BAL

თანხის გადახდა.

მუხლი 5. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

5.1 ხელშეკრულებაში მითითებული საქონლის/გაზეთის ერთი ეგზემპლიარის ღირებულება ერთი წლით შეადგენს 20(ოც) ლარს, კვარტალურად - 5 (ხუთ) ლარს.

5.1 საერთო ღირებულება ერთი წლით შეადგენს--------20----------ლარს, კვარტალურად -------
-------5.79----5.71-----ლარს.

მუხლი 6. ანგარიშსწორების პირობები

6.1 მიწოდებული საქონლის ანაზღაურება ხდება მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორებით -ლარებში.

მუხლი7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული კვირისთვის ,, მიმწოდებელს" და ,, შემსრულებელს" ეკისრებათ პირგასამტეხლო-ხელშეკრულების ფასის 0,2% ოდენობით.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშ-ის ღირებულების 10%-ს, ,მათ"უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.

მუხლი 8 ფორს-მაჟორული სიტუაციები

3 8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებლები ვალდებულებათა მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია წყალდიდობით, მიწისძვრით, საომარი მოქმედებით და სხვა მსგავსი გარემოებებით.

8.2 მხარე , რომელსაც შეექმნება ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

მუხლი 9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კონტროლს ადგილზე ,,შემსყიდველის" მხრიდან ახორციელებს ----[illegible]----, ხოლო ,,მიმწოდებლის" მხრიდან ი/მ ო.ნათიძე.

მუხლი 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2 თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდება,დავა გადაწყდება სასამართლოს წესით. მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2016 წლის 1 იანვრიდან - 2016 წლის 30 დეკემბრამდე.

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია იმ შემთხვევაში, თუ ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12. 2 შესყიდვის ობიექტის სრული პაკეტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბერების აქტით წლის ბოლოს, რომელიც ხელმოწერილია ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ.

მუხლი 13 .მხარეთა რეკვიზიტები

,,მიმწოდებელი"	,,შემსყიდველი"
ი/მ ოლია ნათიძე, ს/კ 01006021180	
თბილისი,დიღმის მასივი მე-3-1-47	
პროკრედიტ ბანკის ცენტრ.ფილ-ის	
მელიქიშვილის განყოფილება	
ბანკის კოდი MI BGGE22	
G E 32PC0233600100008330	

ОРІГІНАЛ